



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

სარჩელის წარმოებაში მიღებისა და დასაშვებად ცნობის შესახებ

21 მარტი, 2019 წელი
თბილისი

ქ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ნათია ბუსკაძე

მოსარჩელები: ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა; ნატო სუბარი; ლილე ჩხეტიანი

მოპასუხე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა სარჩელის წარმოებაში
მიღების საკითხი და

გამოარკვია:

2019 წლის 19 მარტს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივამ, ნატო სუბარმა და ლილე ჩხეტიანმა სარჩელით მომართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ, „სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2-110 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს და მიღებულ უნდა იქნეს სასამართლო წარმოებაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26² მუხლის შესაბამისად სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს და ამ ეტაპზე დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების გათვალისწინებით, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან დამატებითი მტკიცებულებების სახით გამოთხოვილ იქნეს ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

სასამართლო განმარტავს, რომ მხარეებს უფლება აქვთ ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოყენებამდე და მტკიცებულებების შემოწმებამდე წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები მათ თაობაზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არასაპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო მტკიცებულებათა წარდგენა, სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამის თანამდებობის პირს აჯარიმებს 200 ლარით, რაც არ ათავისუფლებს მას მტკიცებულებათა შემდგომში წარდგენის ვალდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართოს წარდგინებით სასამართლოში მტკიცებულებათა წარუდგენლობის მიზეზების დადგენისა და შესაბამისი თანამდებობის პირის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების თაობაზე.

ამავე კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად კი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინოს მას საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან დამატებითი

მტკიცებულებების სახით გამოთხოვილი უნდა იქნეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2-110 ბრძანებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალა დამოწმებული ასლის სახით სრულად.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-13, მე-19, 22-ე, 26² მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 446-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე, მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას, ნატო სუბარისა და ლილე ჩხეტიანის სარჩელი მიღებულ იქნეს სასამართლო წარმოებაში;
2. სარჩელი ამ ეტაპზე დასაშვებად იქნეს ცნობილი;
3. დაევალოს მოპასუხეს 10 დღის ვადაში წარმოადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები;
4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან დამატებითი მტკიცებულებების სახით გამოთხოვილი იქნეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2-110 ბრძანებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალა დამოწმებული ასლის სახით სრულად;
5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებები თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარმოადგინოს განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში;
6. განჩინება მტკიცებულებათა გამოთხოვის ნაწილში ცალკე არ საჩივრდება;
7. დანარჩენ ნაწილში განჩინება არ საჩივრდება.

მოსამართლე

ნათია ბუსკაძე